თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ბიუროს სხდომის
ო ქ მ ი № 13

ქ.თერჯოლა 26 სექტემბერი 2023 წელი

ან. ჭანტურიძის ქ. №7

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარის მ/შემსრულებელი დავით გოგბერაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: 1. დავით გოგბერაშვილი, 2. ჯემალი ისაკაძე, 3. ნინო ჩხიკვაძე, 4. ბიძინა ბუცხრიკიძე, 5. ბადრი ბუცხრიკიძე 6. შალვა ჭანკვეტაძე, 7. თემურ ქოჩიაშვილი, 8. ტარიელ ფანჩულიძე

სხდომას აე ეწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. გრიგოლ გიორგაძე 3. კახა ბუცხრიკიძე, 4. გოჩა ვერულაშვილი

საკრებულოს ბიუროს სიითი შემადგენლობა: 12 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 8
კვორუმი: 7 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის № 27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის № 28-282326846 წერილი, 25.09.2023 წ);

/მომხს.თ.ქოჩიაშვილი/

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ ინფორმაცია (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის № 28-282325118 წერილი, 08.09. 2023 წ);

/მომხს.თ.ქოჩიაშვილი/

3. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების 2023 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის №გ-292301113 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282326894, 25.09.203 წ.);

მომხს.: შ. ჭანკვეტაძე

4. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 14 თებერვლის №გ-29.29230453 განკარგულებაში, თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2023 წლის პროგრამაში ცვლილების შეტანის შესახებ ((თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-2823226893, 25.09.203 წ.).

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა ბიუროს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის № 27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია შემოსავლების გეგმის გაზრდამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 137.8 ათასი ლარით და შეადგენს 30323.9 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გრანტი გაიზარდა 137.8 ათასი ლარით. (გრანტი გაიზარდა 137.8 ათასი ლარით სპეცტექნიკის (ნაგავმზიდის) შეძენა).

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 115.0 ათასი ლარით: გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა შემცირდა 5.0 ათასი ლარით. საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების ხაჯი შემცირდა 48,3 ათასი ლარით. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიაციის ხარჯი შემცირდა 51.7 ათასი ლარით. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ხარჯი შემცირდა 5.0 ათასი ლარით. ამბულატორიების დაფინანსება შემცირდა 5.0 ათასი ლარით.

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა სულ 252.8 ათასი ლარით. საბინაო კომუნალური მეურნეობის დაფინანსება გაიზარდა 207.8 ათასი ლარით, აქედან 137.8 ათასი ლარი განკუთვნილია სპეცტექნიკის (ნაგავმზიდის) შესაძენად. სოფლებში განსახორციელებელი პროექტების დაფინანსება გაიზარდა 20.0 ათასი ლარით. სპორტული პროგრამების დაფინანსება გაიზარდა 5.0 ათასი ლარით. სოციალური დაცვა გაიზარდა 20.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის № 27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა ბიუროს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ ინფორმაცია -ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდება 104.9 ათასი ლარით (გრანტი) და შეადგენს 30186.1 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 104.9 ათასი ლარით (გრანტი).

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 104.9 ათასი ლარით.გზებისა და ხიდების მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯის დაფინანსება გაიზარდა 104.9 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ ინფორმაცია.

3.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ ბიუროს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების 2023 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის №გ-292301113 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - ამ დროისათვის პროგრამის ბიუჯეტია 497 000 ლარი, დაემატება 15 000 და გახდება 512 000 ლარი.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების 2023 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის №გ-292301113 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე .

4.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ ბიუროს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში

რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 14 თებერვლის №გ-29.29230453 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტი იზრდება ხუთი ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 14 თებერვლის №გ-29.29230453 განკარგულებაში, თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2023 წლის პროგრამაში ცვლილების შეტანის შესახებ.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მ/შემსრულებელმა დავით გოგბერაშვილმა 2023 წლის 26 სექტემბრის ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარის
მ/შემსრულებელი
დავით გოგბერაშვილი